შპს მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი

# კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

რომელიც დასრულდა, 2018 წლის 31 დეკემბერს

## სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე ------------------**2**

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება ------------------------------------------------------------------3

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-------------------------------------------------------------4

კონსოლიდირებული ფუნადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება-------------------------------------------------------5

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ზოგადი ინფორმაცია | **6** |
| 2 | კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა | **6** |
| 3 | ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები | **11** |
| 4 | რისკების მართვა | **12** |
| 5 | ფული და ფულის ექვივალენტები | **12** |
| 6 | სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | **12** |
| 7 | მარაგები | **13** |
| 8 | ძირითადი საშუალებები | **13** |
| 9 | სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | **14** |
| 10 | მიღებული სესხები | **14** |
| 11 | საკუთარი კაპიტალი | **15** |
| 12 | ამონაგები | **15** |
| 13 | სხვა შემოსავალი | **15** |
| 14 | სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები | **16** |
| 15 | საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | **16** |
| 16 | ფინანსური ხარჯი და ფინანსური შემოსავალი | **16** |
| 17 | მშენებლობასთან დაკავშირებული პერიოდის ხარჯი | **17** |
| 18 | ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან | **17** |
| 19 | პირობითი ვალდებულებები | **18** |
| 20 | ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები | **19** |
| 21 | ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება | **19** |

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ,,მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრის" ფინანსური მდგომარეობის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

<u>ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:</u>

- მართებული ბუღალტრული პრონციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე;

<u>ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:</u>

- კომაპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს, და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ინანსური ანგარიშგების შსაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

| | |
|---|---|
| გენერალური დირექტორი: | გია გრძელიძე |
| მთ.ბუღალტერი: | სალომე შენგელია |

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრის" ფინანსური მდგომარეობის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრონციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომაპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს, და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ინანსური ანგარიშგების შსაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 30 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი: გია გრძელიძე

მთ.ბუღალტერი: სალომე შენგელია

## *კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება*

| | *შენიშვნა* | *2018* |
|---|---|---|
| ამონაგები | 12 | 10139143 |
| სხვა შემოსავალი | 13 | 74683.87 |
| მარაგების ცვლილება | 7 | 755403.6 |
| მარაგების შესყიდვის ხარჯი | | (3480536) |
| კომპანიის მიერ შესრულებული და დაკაპიტალიზირებული სამუშაოები | | 761282.7 |
| პერსონალის ხარჯები | 14;15 | (6067826) |
| ცვეთა ამორტიზაცია | 8 | (809276) |
| მომსახურების შესყიდვა | 14 | (490487) |
| სხვა ხარჯები | 15 | (715336) |
| ***საოპერაციო მოგება ზარალი*** | | ***167052.3*** |
| არასაოპერაციო შემოსავლები | 16 | 109770.3 |
| კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი | | (30251) |
| საპროცენტო ხარჯი | 16 | (1312628) |
| სხვა ფინანსური ხარჯი | | (52041.8) |
| **შენობის მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯი, რომელიც არ კაპიტალიზირდება** | | |
| გადასახადები | 17 | (1014125) |
| სხვა ხარჯი | | (223715) |
| ***ზარალი დაბეგვრამდე*** | | ***(2355938.38)*** |
| ***მოგების გადასახადის ხარჯი*** | | ***-*** |
| ***წლის წმინდა ზარალი*** | | ***(2355938.38)*** |

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი: გია გრძელიძე

მთ.ბუღალტერი: სალომე შენგელია

6-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## *კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება*

| | *შენიშვნა* | *2018* |
|---|---|---|
| ამონაგები | 12 | 10139143 |
| სხვა შემოსავალი | 13 | 74683.87 |
| მარაგების ცვლილება | 7 | 755403.6 |
| მარაგების შესყიდვის ხარჯი | | (3480536) |
| კომპანიის მიერ შესრულებული და დაკაპიტალიზირებული სამუშაოები | | 761282.7 |
| პერსონალის ხარჯები | 14;15 | (6067826) |
| ცვეთა ამორტიზაცია | 8 | (809276) |
| მომსახურების შესყიდვა | 14 | (490487) |
| სხვა ხარჯები | 15 | (715336) |
| *საოპერაციო მოგება ზარალი* | | ***167052.3*** |
| არასაოპერაციო შემოსავლები | 16 | 109770.3 |
| კუსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი | | (30251) |
| საპროცენტო ხარჯი | 16 | (1312628) |
| სხვა ფინანსური ხარჯი | | (52041.8) |
| **შენობის მშენებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯი, რომელიც არ კაპიტალიზირდება** | | |
| გადასახადები | 17 | (1014125) |
| სხვა ხარჯი | | (223715) |
| *ზარალი დაბეგვრამდე* | | *(2355938.38)* |
| *მოგების გადასახადის ხარჯი* | | - |
| *წლის წმინდა ზარალი* | | *(2355938.38)* |

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი: გია გრძელიძე

მთ.ბუღალტერი: სალომე შენგელია

6-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

## *კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება*

| | შენიშვნა | 31.12.2018 | 01.01.2018 |
|---|---|---|---|
| ***აქტივები*** | | | |
| ***გრძელვადიანი აქტივები*** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 8 | 16325650.29 | 5147209.39 |
| არამატერიალური აქტივები | 8 | 2397 | 0 |
| გრძელვადიანი ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | | 20063 | 20063 |
| გრძელვადიანი სესხი შვილობილ კომპანიაში | | 0 | 0 |
| ***სულ გრძელვადიანი აქტივები*** | | ***16348110.29*** | ***5167272.39*** |
| ***მიმდინარე აქტივები*** | | | |
| მარაგები | 7 | 1437707.01 | 682303.43 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 6 | 3268844.2 | 2492320.03 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 5 | 1514268.72 | 1423407.66 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | | 12587.18 | 188120.72 |
| სხვა მოთხოვნები | | 32831.9 | 5791.04 |
| მოთხოვნები შვილობილ კომპანიაში | | 0 | 0 |
| ***სულ მიმდინარე აქტივები*** | | ***6266239.01*** | ***4791942.88*** |
| ***სულ აქტივები*** | | ***22614349.3*** | ***9959215.27*** |
| | | | |
| ***მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები*** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება | 11 | 142015.2 | 2497953.37 |
| გადაფასების რეზერვი | | 229609.7 | 237729 |
| ***სულ კაპიტალი*** | | ***371624.9*** | ***2735682.37*** |
| | | | |
| ***გრძელვადიანი ვალდებულებები*** | | | |
| მიღებული სესხები | 10 | 17765795.07 | 5904559.77 |
| ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე | | 235506.86 | 301805.33 |
| ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე | | 292667 | 90467 |
| ***სულ გრძელვადიანი ვალდებულებები*** | | ***18293968.93*** | ***6296832.1*** |
| | | | |
| ***მიმდინარე ვალდებულებები*** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 9 | 3124733.55 | 862776.35 |
| მიღებული სესხები | 10 | 600000 | 0 |
| გადასახდელი პროცენტები | | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 224022.6 | 63924.38 |
| ***სულ მიმდინარე ვალდებულებები*** | | ***3948756.15*** | ***926700.73*** |
| ***სულ კაპიტალი და ვალდებულებები*** | | ***22614349.98*** | ***9959215.2*** |

გენერალური დირექტორი: გია გრძელიძე

მთ.ბუღალტერი: სალომე შენგელია

6-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

## კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2018 | 01.01.2018 |
|---|---|---|---|
| ***აქტივები*** | | | |
| ***გრძელვადიანი აქტივები*** | | | |
| ძირითადი საშუალებები | 8 | 16325650.29 | 5147209.39 |
| არამატერიალური აქტივები | 8 | 2397 | 0 |
| გრძელვადიანი ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | | 20063 | 20063 |
| გრძელვადიანი სესხი შვილობილ კომპანიაში | | 0 | 0 |
| ***სულ გრძელვადიანი აქტივები*** | | ***16348110.29*** | ***5167272.39*** |
| ***მიმდინარე აქტივები*** | | | |
| მარაგები | 7 | 1437707.01 | 682303.43 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 6 | 3268844.2 | 2492320.03 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 5 | 1514268.72 | 1423407.66 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | | 12587.18 | 188120.72 |
| სხვა მოთხოვნები | | 32831.9 | 5791.04 |
| მოთხოვნები შვილობილ კომპანიაში | | 0 | 0 |
| ***სულ მიმდინარე აქტივები*** | | ***6266239.01*** | ***4791942.88*** |
| ***სულ აქტივები*** | | ***22614349.3*** | ***9959215.27*** |
| | | | |
| ***მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები*** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება | 11 | 142015.2 | 2497953.37 |
| გადაფასების რეზერვი | | 229609.7 | 237729 |
| ***სულ კაპიტალი*** | | ***371624.9*** | ***2735682.37*** |
| | | | |
| ***გრძელვადიანი ვალდებულებები*** | | | |
| მიღებული სესხები | 10 | 17765795.07 | 5904559.77 |
| ვალდებულებები დამფუძნებლების წინაშე | | 235506.86 | 301805.33 |
| ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე | | 292667 | 90467 |
| ***სულ გრძელვადიანი ვალდებულებები*** | | ***18293968.93*** | ***6296832.1*** |
| | | | |
| ***მიმდინარე ვალდებულებები*** | | | |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 9 | 3124733.55 | 862776.35 |
| მიღებული სესხები | 10 | 600000 | 0 |
| გადასახდელი პროცენტები | | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | 224022.6 | 63924.38 |
| ***სულ მიმდინარე ვალდებულებები*** | | ***3948756.15*** | ***926700.73*** |
| ***სულ კაპიტალი და ვალდებულებები*** | | ***22614349.98*** | ***9959215.2*** |

გენერალური დირექტორი: გია გრძელიძე

მთ.ბუღალტერი: სალომე შენგელია

6-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

## კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| *ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან* | *შენიშვნა* | *2018* |
|---|---|---|
| ზარალი დაბეგვრამდე: | | (2355938.38) |
| *კორექტირებები:* | | |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | 8 | 809275.35 |
| საინვესტიციო საქმიანობაზე მიკუთნებული ფულადი ნაკადები | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება | 6 | (776524.18) |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდა/შემცირება | 7 | (755403.58) |
| სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/შემცირება | 9 | 1577659.54 |
| დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება | | 308590.81 |
| ვალდებულებები პერსონალის წინაშე | | (66298.47) |
| სახელფასო ვალდებულებები | 9 | 684297.66 |
| *ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან* | | *(574341.25)* |
| *ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან* | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 8 | (11998232.55) |
| გადახდილი პროცენტები | 10 | 0 |
| *საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | *(11998232.55 )* |
| *ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან* | | |
| ფინანსური იჯარით გათვალისწინებული გადასახადის გადახდა | | 202200 |
| მიღებული სესხები | 10 | 12461235.3 |
| *საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | *12663435.3* |
| *ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება* | | *90860.84* |
| *ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი* | *5* | *1423407.66* |
| *ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი* | *5* | *1514268.51* |

გენერალური დირექტორი: გია გრძელიძე

მთ.ბუღალტერი: სალომე შენგელია

6-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

# კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან | შენიშვნა | 2018 |
|---|---|---|
| ზარალი დაბეგვრამდე: | | (2355938.38) |
| *კორექტირებები:* | | |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | 8 | 809275.35 |
| საინვესტიციო საქმიანობაზე მიკუთნებული ფულადი ნაკადები | | |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/შემცირება | 6 | (776524.18) |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზრდა/შემცირება | 7 | (755403.58) |
| სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/შემცირება | 9 | 1577659.54 |
| დარიცხული საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება | | 308590.81 |
| ვალდებულებები პერსონალის წინაშე | | (66298.47) |
| სახელფასო ვალდებულებები | 9 | 684297.66 |
| *ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან* | | *(574341.25)* |
| *ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან* | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | 8 | (11998232.55) |
| გადახდილი პროცენტები | 10 | 0 |
| *საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | **(11998232.55)** |
| *ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან* | | |
| ფინანსური იჯარით გათვალისწინებული გადასახადის გადახდა | | 202200 |
| მიღებული სესხები | 10 | 12461235.3 |
| *საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები* | | *12663435.3* |
| *ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება* | | *90860.84* |
| *ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი* | *5* | *1423407.66* |
| *ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი* | *5* | *1514268.51* |

გენერალური დირექტორი: გია გრძელიძე

მთ.ბუღალტერი: სალომე შენგელია

6-19 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ,,მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი" დაფუძნდა 2012 წლის 14 თებერვალს, რომლის საიდენთიფიკაციო ნომერია 412682501; მარეგიტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო; კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: ქ. ქუთაისი, ფოთის ქუჩა N40; კომპანიის მესაკუთრეეები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ნინო ქიმუცაძე (პ.ნ 60001096565) - 20%;

ბადრი ჩაკვეტაძე (პ.ნ 62005004785) – 20%;

კობა აბუთიძე (პ.ნ 60201172398) – 20%;

კახაბერ ყავლაშვილი (პ.ნ60002001154) - 20%;

შოთა ინგოროყვა (პ.ნ01024004943) – 20%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საავადმყოფოების საქმიანობა. ის წარმოადგენს მრავალპროფილური კლინიკას, რომელიც მოსახლეობას აწვდის როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორულ სამედიცინო სერვისებს.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიას: შპს ,,თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრ"-ს (ს.კ 412719651), სადაც მისი წილობრივი ფლობა შეადგენს 100%-ს. კომპანია დაფუძნდა 2016 წლის 26 ივლისს შპს მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ნფექციურ დავავადებათა მართვის ცენტრის მიერ. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი პირია გია გრძელიძე,

შვილობილი საწარმოს ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი ემთხვევა დედა კომპანიის მისამართს, საქმიანობის სფერო ორივე კომპანიისთვის არის საავადმყოფოების საქმიანობა.

## 2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

### 2.1 წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალოსაწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

კონსულიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური

კურსები შემდეგია:

**საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი :**

| | ევრო | დოლარი |
|---|---|---|
| 01.01.2018 | 3,1044 | 2,5922 |
| 31.12.2018 | 3,0701 | 2,6766 |

## 2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

| ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) | |
|---|---|
| შენობა-ნაგებობები | 30 |
| მანქანა-დანადგარები | 5-10 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5-10 |
| ავეჯი და ოფისის მოწყობილობა | 2-8 |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 2-4 |

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ

პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

## 2.4 სამედიცინო შემოსავლები

სამედიცნო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკნომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა.

სამედიცინო შემოსავლები წარდგენილია კორექტირებების, ფასდაკლებების გათვალისწინებით.

კომპანიის სამედიცინო შემოსავლები მოიცავს სადაზღვვეო კომპანიებიდან, სახელმწიფოდან და ფიზიკური პირებიდან მიღებულ შემოსავლებს.

სადაზღვევო კომპანიები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

სახელმწიფო - კომპანია აღიარებს შემოსავლებს ფიზიკური პირებიდან, რომლებიც დაზღვეულები არიან სახელმწიფო პროგრამით. შემოსავლების აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების დასრულების და სახელმწიფოსთან შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

ფიზიკური პირები - კომპანია აღიარებს შემოსავლებს დაუზღვეველი ფიზიკური პირებიდან, სამედიცინო მომსახურების დასრულების და კომპანიის მიერ დადგენილი ფასების საფუძველზე. შემოსავლების მიღება ძირითადად ხდება ნაღდი ფულით.

## 2.5 სხვა შემოსავალი

სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

## 2.6 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## 2.7 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს

## 2.8 საოპერაციო იჯარა

კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

## 2.9 ფინანსური იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარემ იჯარის ვადის დასაწყისისათვის აღიარა მისი უფლებები აქტივის(მიწა) გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაანგარიშებული დისკონტრირების განაკვეთით,რისთვისაც გამოყენებული იქნა კომპანიის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრა იჯარის დასაწყისში.

## 2.10 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღირებული მოგებაში ან ზარალში.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ევივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებით, მიღებული სესხებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

## 2.11 მარაგები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება FIFO მეთოდით.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს. მარაგების დიდი ნაწილი წარმოადგენს გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების ნაწილს და შესაბამისად მისი ჩამოწერა ხორციელდება მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, ფაქტობრივად გახარჯვის დროს, ინდივიდუალურად თითოეულ პაციენტზე.

## 2.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

საწარმო დაქირავებულ პირთა ყველა სახის გასამრჯელოსთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგები პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ , აღიარებს როგორც შესაბამისი პერიოდის ვალდებულებას და ხარჯს.

რაც შეეხება მოკლევადიან ანაზრაურებად შვებულებებს და ავადმყოფობის დროს ბიულეტინზე ყოფნას, საწარმო აღიარებს იმ პერიოდის ვალდებულებად, არადისკონტირებული სიდიდით რომეშიც დადგა ის. რამეთუ დაქირავებული პირის მიერ გაწეული მომსახურება უკავშირდება საანგარიშგებო პერიოდს.

## 2.13 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

## 2.14 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით.

## 2.15 საგადასახადო ვალდებულებები

**მოგების გადასახადი**

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან

გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

• დივიდენდების გაცემა

• სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის

• ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას

• უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები

• ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

**გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა**

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

**ფუნქციონირებადი საწარმოს** პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

**საგადასახადო კანონმდებლობა**
საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

## 4. რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

*ინფლაცია და სავალუტო კურსი.* საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

*საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.* შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

*საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები.* საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

*გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.* გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

*სამართლებრივი რისკები.* სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

## 5.ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

| | **31.12.2018** | **01.01.2018** |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში | 1241143.43 | 68952.06 |
| ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში | 237384.78 | 1317486.52 |
| ნაღდი ფული სალაროში | 35740.51 | 36969.08 |
| **სულ** | **1514268.72** | **1423407.66** |

## 6.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | **31.12.2018** | **01.01..2018** |
|---|---|---|
| სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო | 2962946.49 | 948355.71 |

| | | |
|---|---|---|
| სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანება | 99961.78 | 36056 |
| მომწოდებელზე გადახდილი ავანსები | 205360.95 | 1507784.34 |
| სხვა მოთხოვნები | 574.98 | 123.98 |
| **სულ** | **3268844.2** | **2492320.03** |

## 7.მარაგები

| | **31.12.2018** | **01.01..2018** |
|---|---|---|
| მედიკამენტები და სახარჯი მასალები | 904218.44 | 225085.44 |
| სხვა მარაგები | 157356.92 | 12621.05 |
| მშენებლობისთვის განკუთვნილი მარაგი | 376131.65 | 444596.94 |
| **სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგი** | **1437707.01** | **682303.43** |

## 8.ძირითადი საშუალებები

**ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| ისტორიული ღირებულება | საწყისი ნაშთი | მიღება/შეძენა | ჩამოწერა/გაყიდვა | ცვეთა | საბოლოო ნაშთი |
|---|---|---|---|---|---|
| დაუმთავრებელი მშენებლობა | 1994769 | 112340.8 | 1856709 | 0 | 250401.3 |
| შენობა ნაგებობა | 1305364 | 3162903 | 8119.3 | 114056.3 | 4346092 |
| მანქანა დანადგარები | 1433202 | 8787774 | 6902.04 | 570053.1 | 9644021 |
| სამედიცინო ქირურგიული ინსტრუმენტები | 0 | 348190.4 | 0 | 0 | 348190.4 |
| ოფისის აღჭურვილობა | 64056.8 | 358867.3 | 0 | 35647.86 | 387276.2 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 122351.2 | 900591.3 | 14556.16 | 81093.65 | 927292.6 |
| მიწა | 210955 | 203335 | 0 | 0 | 414290 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 36573.3 | 0 | 0 | 8424.44 | 28148.86 |
| არამატერიალური აქტივი | 0 | 2397 | 0 | 0 | 2397 |
| **ჯამი** | **5167271.4** | **13876399** | **1886286** | **809275.4** | **16348109** |

## 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 31.12.2018 | 01.01.2018 |
|---|---|---|
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება | 2182514.3 | 605173.41 |
| გადასახდელი ხელფასები | 918855.34 | 234557.68 |
| სხვა კრედიტორული დავალიანება | 23363.91 | 23045.26 |
| | **3124733.55** | **862776.35** |

## 10.მიღებული სესხები

### გრძელვადიანი სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის პირველი იანვრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| მსესხებლის დასახელება | ვალუტა | საპროცენტო განაკვეთი | სესხის აღების თარიღი | სესხის დაფარვის თარიღი | 31.12.2018 | 01.01.2018 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სს თი ბი სი ბანკი | ლარი | 10.50% | 07.12.2017 | 10.06.2025 | 7565455 | 1026000 |
| სს თი ბი სი ბანკი | ლარი | 10.50% | 28.06.2017 | 10.06.2025 | 2434545 | 2434545 |
| სს თი ბი სი ბანკი | ლარი | 12% | 28.06.2018 | 10.06.2025 | 1800000 | 0 |
| სს თი ბი სი ბანკი | ლარი | 10.50% | 28.06.2017 | 10.06.2025 | 1133192 | 1133192 |
| შპს გაზელ ფაინენს ჯორჯია | დოლარი | 18% | 18.09.2018 | 18.09.2023 | 3479580 | 0 |
| შპს მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი | ლარი | 10.50% | 19.05.2017 | - | 0 | 0 |
| ფ.პ ნინო ქიმუცაძე | დოლარი | - | | | 270283.1 | 261842.8 |
| ფ.პ ბადრი ჩაკვეტაძე | დოლარი | - | | | 279760 | 271320 |
| ფ.პ კახა ყაველაშვილი | დოლარი | - | | | 267660 | 259220 |
| ფ.პ კობა აბუთიძე | დოლარი | - | | | 267660 | 259220 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფ.პ შოთა ინგოროყვა | დოლარი | - | 267660 | 259220 |
| **სულ** | | | **17765795** | **5904560** |

**მოკლევადიანი სესხი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სს თი ბი სი | ლარი | 11% | 23.01.2017 | 15.01.2019 | 600000 | 0 |

სესხის აღების მიზანს წარმოადგენს ახალი სავადმყოფოს მშენებლობა და აღჭურვა უახლესი ტექნიკით.

## 11. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | **31.12.2018** | **01.01.2018** |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი | 229609.7 | 237729 |
| გაუნაწილებელი მოგება | 142015.06 | 2497953.37 |
| | **371624.76** | **2735682.37** |

## 12. ამონაგები

ამონაგები სამედიცინო მომსახურებიდან დაფინანსების წყაროების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო | 7361703.02 |
| პაციენტის წილობრივი შემოსავალი | 2425705.26 |
| მუნიციპალიტეტები/სადაზღვევი კომპანიები | 245190.63 |
| შემოსავალი დაფინანსებული გლობალ ფონდის მიერ | 106543.97 |
| **სულ** | **10139142.9** |

## 13.სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად

| | |
|---|---|
| იჯარა | 70533.58 |
| ფასიანი ავტოსადგომი | 3275 |
| სხვა | 875.29 |

| | |
|---|---|
| **სულ** | **74683.87** |

## 14. სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები

| | **2018 წელი** |
|---|---|
| ხელფასის ხარჯი | 4493980.8 |
| მედიკამენტები და სახარჯი მასალები | 1822691.3 |
| სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა პირდაპირი დანახარჯები | 490487.15 |
| **სულ** | **6807159.25** |

## 15.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

სხვა ხარჯები 2018 წლის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად

| | |
|---|---|
| ხელფასი | **1573845.05** |
| ცვეთა ამორტიზაცია | **809275.54** |
| რემონტი | 14568.71 |
| საიჯარო ქირა | 19829.2 |
| სამეურნეო | 14353.62 |
| საგადასახადო ხარჯი | 231 |
| პროგრამული მომსახურება | 9375 |
| კომუნალური გადასახადები | 355256.1 |
| კომუნიკაციის ხარჯი | 17080.3 |
| ქონების დაზღვევა | 26386.39 |
| მივლინება | 14302.75 |
| დაცვა | 19138.07 |
| საკანცელარიო ხარჯი | 23280.2 |
| დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 7414.16 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 7641.7 |
| ბანკის მომსახურების საკომისიო | 7893.25 |
| საოფისე ხარჯი | 58134.95 |
| რეკლამის ხარჯი | 22456.2 |
| სხვა საერთო ხარჯი | 91746.31 |
| სპეც ტანსაცმელი | 4161 |
| **სულ** | **715335.91** |

## 16.ფინანსური ხარჯი და ფინანსური შემოსავალი

**არასაოპერაციო შემოსავალი**

| | |
|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 85188.02 |
| სხვა არასაიოპერაციო შემოსავალი | 24582.3 |
| **სულ** | **109770.32** |

**არასაოპერაციო ხარჯი**

| | |
|---|---|
| საპროცენტო ხარჯი | -1312628.39 |
| კურსთაშორის სხვაობის ეფექტი | -30240.86 |
| ფინანსური იჯარა | -13689 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | -410.62 |
| ჯარიმები | -37942.13 |
| **სულ** | **-1394911** |

## 17. მშენებლობასთან დაკავშირებული პერიოდის ხარჯი

საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე საავადმყოფოს შენობის ექსპლუატაციაში გადაცემის მომენტის დადგომისთანავე კომპანიას ეკისრება დღგ-ის გადახდის ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს შენობის ღირებულების 18%-ს.

ჩვენი კომპანია აღნიშნულ შენობას იყენებს დღგ-ისგან გათავისუფლებულ ოპერაციებში..

რაც ნიშნავს იმას, რომ ზემოაღნიშნულ ბიუჯეტში გადასახდელ დღგ-ს თანხას ჩვენი კომპანია ვერ ჩაითვლიდა და გაიზრდა ფინანსური ხარჯი.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა ელემენტს: (ა) მისი ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე.

| | |
|---|---|
| ელექტრო ენერგიის ქსელზე დაერთების საფასური | 137000 |
| დღგ-ს ხარჯი(შენობა+არასამედიცინო შინაარსის ძირითად საშუალებებზე გადახდილი დღგ) | 1014125.07 |
| სხვა ხარჯი | 86714.66 |
| სულ | 1237839.73 |

## 18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიას და მის დაკავშირებულ მხარეს შორის ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| **ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება** | **ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლები** |
|---|---|
| მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან | 28818,18 |
| გაცემულ სესხთან დაკავშირებული მოთხოვნები | 10368379,76 |
| მისაღები პროცენტები | 1076595,38 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 13207,17 |

| **სრული შემოსავლის ანგარიშგება** | **ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლები** |
|---|---|
| სხვა შემოსავალი | 28818,18 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები | 12405,1 |
| მისაღები პროცენტები | 898821,61 |
| არასაოპერაციო შემოსავალი | 40040 |

## 19. პირობითი ვალდებულებები

**საოპერაციო გარემო**

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

**გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

**გარემოს დაცვა**

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

**სასამართლო**

**დავები**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

## 20. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

## 21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის დირექტორის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.